იურიდიული
დახმარების
სამსახური

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა

რა არის ქალთა მიმართ ძალადობა?

ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რასაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

რა არის ოჯახში ძალადობა?

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ოჯახში ძალადობის დროს ოჯახის წევრად მიიჩნევა: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

ძალადობის ფორმებია:

ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას. ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.

ფსიქოლოგიური ძალადობა - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივის და ღირსების შელახვას.

სექსუალური ძალადობა - სექსუალური კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით. სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარ-ყვნილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ.

ეკონომიკური ძალადობა - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებლით და ნორმალური გან-ვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრების და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

იძულება - ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

უგულებელყოფა - მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა. ასევე დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე.

რას ამბობს კანონი?

მოქმედი კანონმდებლობა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ, სამოქალაქო სამართლებრივ და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მექანიზმებს.

- **სისხლის სამართლებრივი მექანიზმები** ითვალისწინებს როდესაც ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.
- **სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმის** შემთხვევაში, მსხვერპლის უფლებაა მოითხოვოს ძალადობის შედეგად მოძალადის მიერ მისთვის მიყენებული, როგორც ფინანსური ისე მორალური ზიანის ანაზღაურება.
- **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები** ითვალისწინებს მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვას ან აკრძალვას, რაც ხორციელდება შემაკავებელი ან/და დამცავი ორდერების გამოცემით.

- **შემაკავებელი ორდერი** არის პოლიციის თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც ამოქმედდება გამოცემისთანავე. შემაკავებელი ორდერის თითო ასლი, გამოცემიდან 24 საათში, აუცილებლად უნდა გადაეცეს მსხვერპლსა და მოძალადეს. მისი გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში მისი ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში. შემაკავებელი ორდერი მოქმედებს გამოცემიდან 1 თვემდე ვადით.
- **დამცავი ორდერი** არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. დამცავი ორდერი მოქმედებს გამოცემიდან 9 თვემდე ვადით.

შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, მსხვერპლის ოჯახის წევრს ანდა მსხვერპლის თანხმობით – სოციალურ მუშაკს ან პირს, რომელიც მსხვერპლს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს, ხოლო არასრულწლოვანის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია **სახელმწიფო თავშესაფრით** ან **კრიზისული ცენტრით,** სადაც ხდება როგორც მსხვერპლის ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია, ასევე იურიდიული და სამედიცინო დახმარება.

ვის მიმართოთ და როგორ დაიცვათ თავი

ოჯახში ძალადობის მსხვერპლს/სავარაუდო მსხვერპლს, საკუთარი უფლებების დასაცავად, შეუძლია უფასოდ ისარგებლოთ იურიდიული დახმარების სამსახურის როგორც პირადი, ასევე, სატელეფონო/ონლაინ კონსულტაციის სერვისებით იმ შემთხვევაში:

- თუ საქმეში არ მონაწილეობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის მიერ აყვანილი ადვოკატი;
- შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემთხვევაში, თუ ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი აკმაყოფილებს გადახდისუუნარობის კრიტერიუმს;
- სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, მიუხედავად მისი გადახდისუნარობისა, თუკი საქმე ეხება **იურიდიული დახმარების შესახებ** კანონის მე-5 მუხლის მე-2[5] პუნქტში ჩამოთვლილ საკითხებს.

- სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, გადახდისუუნარო პირისათვის, თუკი პირი არის ოჯახური დანაშაულის ან ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული. აღნიშნულ შემთხვევაში, გადახდისუუნაროდ მიიჩნევა პირი, თუკი იურიდიული დახმარების სამსახურისთვის მიმართვამდე, 12 თვის განმავლობაში, მისი დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება 6000 ლარს, ამავდროულად, მის სახელზე ბანკში გახსნილ ანგარიშზე არსებული თანხის ოდენობა შესაბამისი ცნობის გაცემის დროს არ აღემატებოდა 500 ლარს. ამასთანავე, ბოლო 90 დღის განმავლობაში, აღნიშნულ ანგარიშზე არსებული თანხის ბრუნვა 1500 ლარს არ აღემატება.

რა იგულისხმება იურიდიულ დახმარებაში?

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიულ კონსულტაციასა და იურიდიულ დახმარებას ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლისთვის.

იურიდიულ დახმარებაში იგულისხმება, როგორც სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება, ასევე წარმომადგენლობა სასამართლოში სისხლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით.

უფასო იურიდიული დახმარების ცხელი ხაზი:

1485 ან 032 292 00 55

ელ-ფოსტა: info@legalaid.ge

ვებ-გვერდი: www.las.ge

www.children.las.ge

ბროშურა მომზადდა **იურიდიული დახმარების სამსახურის** მიერ **USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი** (EWMI) **ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს** (USAID) დაფინანსებით.

ბროშურის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია **იურიდიული დახმარების სამსახური** და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

მობილური აპლიკაცია: